

საქართველოს პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის

შრომათა კრებული

თბილისი.

ივლისი, 2013 წ.



სარჩევი

გვ.

წინათქმა	2
ივლიანე ხაინდრავა. სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხისათვის	3
ვლადიმერ პაპავა. არჩევანის პრობლემა "პოსტვარდისფერი" საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში.	21
ალექსი გუგუშვილი. ეკონომიკური კეთილდღეობა, პოლიტიკური პრეფერენციები და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები.	45
გიორგი თარხან-მოურავი. იდენტობის პოლიტიკა საქართველოში.	69
ზურაბ გარაყანიძე. გლობალური და რეგიონული ენერგოპროექტების როლი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში.	89
კრებულის სარედაქციო ჯგუფი	105

ეკონომიკური კეთილდღეობა, პოლიტიკური პრეფერენციები და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

ალექსი გუგუშვილი

სოციალური მეცნიერებების ცენტრი

a.gugushvili@css.ge

ანოტაცია

მოცემული კვლევა აჩვენებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული პოლიტიკური პრეფერენციები და საკუთრივ არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად უკავშირდება ამომრჩეველთა ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. მოცემული კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მრავალი საკონტროლო მაჩვენებლის გათვალისწინების შემთხვევაშიც. არჩევნებამდე გამოხატული პოლიტიკური პრეფერენციები, პროპორციული სისტემით მიღებულ ხმები და მაჟორიტარული სისტემით ოპოზიციური კოალიციის კანდიდატის გამარჯვების სტატისტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის დაბალი და მაღალი მაჩვენებლების მქონე ამომრჩევლებმა და საარჩევნო ოლქებმა ოპოზიციურ კოალიციას მიანიჭეს უპირატესობა.


კვლევის საგანი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები უკვე მოიხსენიება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში (Mitchell, 2013). 1990 წლის არჩევნების შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პირველად გამოაცხადა ოპოზიციური პოლიტიკური ძალა არჩევნებში გამარჯვებულად. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებთან ერთად, აღნიშნულმა მოვლენებმა ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საარჩევნო პოლიტიკისა და ამომრჩეველთა ქცევის შესახებ სოციალური და პოლიტიკური კვლევების განვითარებას. წინა არჩევნების უმრავლესობა ხასიათდებოდა, როგორც ნაწილობრივ თავისუფალი ან სრულდებოდა ერთი პოლიტიკური ძალის მიერ ხმათა დიდი უმრავლესობით გამარჯვებით. აღნიშნული მახასიათებლები აფერხებდა არჩევნების შედეგების განმაპირობებელ ფაქტორებზე ემპირიული კვლევების ჩატარებას. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა ოფიციალური შედეგების დაკავშირება კონტექსტუალურ მაჩვენებლებთან, აგრეთვე, ერთპიროვნული გამარჯვების შემთხვევაში, მცირე ვარიაცია შედეგებში შეზღუდავდა სტატისტიკური მეთოდებით ამ ვარიაციის ახსნის შესაძლებლობას. აღნიშნული ორი პარამეტრის მიხედვით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები განსხვავდებოდა წინა არჩევნებისგან. ერთი მხრივ, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები თანხმდებიან, რომ თავისუფლების ხარისხი და გამჭვირვალობა იყო საკმაოდ მაღალი. მეორე მხრივ კი, სხვაობა გამარჯვებული ქართული ოცნების 55.0 პროცენტსა და დამარცხებული ნაციონალური მოძრაობის 40.3 პროცენტს შორის არ არის დიდი, შედეგად, საარჩევნო ოლქების მიხედვით მოპოვებული ხმების ვარიაცია მნიშვნელოვანია.

დიაგრამა 1 ასახავს ხმათა განაწილებას პოლიტიკურ პარტიებს შორის 73 საარჩევნო ოლქში გამარჯვებული და დამარცხებული პარტიების მიერ მიღებული ხმების მიხედვით, რაც საშუალებას გვაძლევს, სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით ავხსნათ აღნიშნული სხვაობა.¹⁹ ცხადია, ვარიაციის მნიშვნელოვანი წილი აიხსნება რეგიონული განსხვავებით. გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და თბილისის ოლქებში ხმები ძირითადად ქართული ოცნების სასარგებლოდ განაწილდა. სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში კი ხმათა უმრავლესობა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო.

¹⁹ სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა მთლიანობაში მიიღეს მხოლოდ ხმათა 4.7 პროცენტი.

დიაგრამა 1. ქართული ოცნების, ნაციონალური მოძრაობის და სხვა პარტიების მიერ მიღებული ხმების წილი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ოლქების მიხედვით



თუმცა, მხოლოდ რეგიონული განსხვავებები ვერ ხსნის იმ შედეგებს, რაც დაფიქსირდა საქართველოს 10 რეგიონსა და თბილისში. გამოითქვა მრავალი მოსაზრება, თუ რა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალური ფაქტორებმა განაპირობა ნაციონალური მოძრაობის დამარცხება (Fairbanks Jr and Gugushvili, 2013). მოცემულ კვლევაში ჩვენ გვანტერესებს, თუ რა კავშირი არსებობს ეკონომიკურ კეთილდღეობასა და არჩევნების შედეგებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ოლქების დონეზე განვითარების სხვადასხვა მახასიათებლების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ეკონომიკური მაჩვენებლის მოპოვება და არჩევნების შედეგებთან მისი კავშირის შემოწმება შესაძლებელია წარმომადგენლობითი კვლევის მეშვეობით და არჩევნების შედეგებზე სხვა შესაძლო ფაქტორების, – როგორებიცაა მოსახლეობის რაოდენობა, ურბანიზაცია, რელიგიურობა, საგანმანათლებლო და იდეოლოგიური შეხედულებები – გავლენის გათვალისწინებით.

კვლევის დიზაინი, მონაცემები და მეთოდები

მოცემულ სტატიაში ეკონომიკურ კეთილდღეობასა და არჩევნების შედეგებს შორის კავშირის შესასწავლად გამოყენებულია ორი განსხვავებული მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, ვიყენებთ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2012 წლის 31 იანვრიდან 27 თებერვლამდე ჩატარებულ, ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი სოციალური კვლევის მონაცემებს (CSS, 2012). აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოს

მოსახლეობის საარჩევნო პრეფერენციების გამოკვლევას. რესპონდენტებისთვის დასმული იყო შეკითხვა, თუ რომელ პარტიას მიანიჭებდნენ ისინი უპირატესობას არჩევნების უახლოეს პერიოდში ჩატარების შემთხვევაში. დამოკიდებული ცვლადი ამ შემთხვევაში არის გამოკითხულთა მიერ არჩევნებში ქართული ოცნების მჯობინება, ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადი კი შინამეურნეობების მიერ გაწეული საშუალო თვიური ხარჯებია. სხვა გამოყენებული დამოუკიდებელი ცვლადებია რესპონდენტების სქესი, ასაკი, ოჯახური სტატუსი, ეროვნება, განათლების დონე, დასაქმებულობის მახასიათებლები²⁰, მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ მოსაზრებები, სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულება, ნატომი გაწვევრიანების მხარდაჭერა, ყოველდღიურად რუსთვი 2-ის საინფორმაციო გამოშვებების ყურება, ტელეკომპანია მაესტროს ხელმიუწვდომლობა, საკონტროლო მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით. ასევე აღსანიშნავია, რომ ანალიზიდან გამორიცხულია ის რესპონდენტები, ვინც მიიჩნევდნენ, რომ ინტერვიუერები წარმოადგენდნენ მთავრობას, პოლიციას, სახელისუფლო ან ოპოზიციურ პლიტიკურ პარტიას.

უკვე არჩევნებში დაფიქსირებული შედეგების მიხედვით კვლევის მეორე ნაწილის დამოკიდებული ცვლადებია ქართული ოცნების მიერ პროპორციულ არჩევნებში ოლქების მიხედვით მიღებული ხმების წილი (რაც 0.17-დან 0.93-მდე მერყეობს) და ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატის გამარჯვება საარჩევნო ოლქში. მთავარი დამოუკიდებელი ცვლადისა და სხვა საკონტროლო მაჩვენებლების მოპოვება ხდება ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გამოკვლევის (Generations and Gender Surve [GGS]) მონაცემების გამოყენებით, რომელიც ჩატარებულია გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ 2006 და 2010 წლებში (UNECE, 2012). აღნიშნულ კვლევაში, მრავალგზის დაკვირვება საშუალებას იძლევა, საარჩევნო ოლქის მიხედვით განისაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე. თბილისი აღებულია ერთი დაკვირვების სახით, ვინაიდან GGS არ იძლევა შესაძლებლობას, დედაქალაქის უბნების მიხედვით მოხდეს მონაცემების დისაგრეგაცია. GGS-ში ასევე არ მოიპოვება მონაცემები სიღნაღის შესახებ.

მთავარი დამოუკიდებელი ცვლადია ოჯახების მატერიალური დეპრივაციის საშუალო დონე საარჩევნო ოლქებში. ამ მაჩვენებლის მიღება ხდება შემდეგი შეკითხვის საფუძველზე - *"ყოველი ჩამოთვლილი ნივთისთვის მიუთითეთ, აქვს თუ არა ის თქვენს*

²⁰ საჯარო სექტორში დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა, არააქტიური მოსახლეობისადმი მიკუთვნება.

შინამეურნეობას მფლობელობაში. თუ თქვენ არ გაქვთ ცალკეული ნივთი, გთხოვთ, მიუთითოთ, გსურთ თუ არა მისი ქონა, მაგრამ არ შეგიძლიათ თუ არ გაქვთ ის სხვა რაიმე მიზეზის გამო, მაგალითად, არ გინდათ ან არ გჭირდებათ" - აღნიშნული ნივთებია (1) მაცივარი, (2) ფერადი ტელევიზორი, (3) ვიდეოჩამწერი ან DVD დამკვრელი, (4) სარეცხი მანქანა, (5) მიკროტალღური ღუმელი, (6) კომპიუტერი, (7) ჭურჭლის სარეცხი მანქანა, (8) ტელეფონი (სახლის ან მობილური), (9) ავტომანქანა (10) მეორე ავტომანქანა, (11) მეორე სახლი (მაგალითად, დასვენების მიზნით). ასევე, გამოიყენება ხუთი საკონტროლო მაჩვენებელი: ურბანიზაციის დონე, რომლითაც განისაზღვრება, თუ ოლქში გამოკითხულთა რა ნაწილი ცხოვრობს ქალაქის ტიპის დასახლებაში. მსგავსი ფორმით დგინდება ასევე განათლების დონე და მართლმადიდებელი ამომრჩევლების წილი ოლქების მიხედვით. საარჩევნო შედეგებზე გავლენას უნდა ახდენდეს მოსახლეობის იდეოლოგიური შეხედულებები, სწორედ ამიტომ ამომრჩევლებში მემარჯვენე-მემარცხენე დამოკიდებულებების წარმოჩენის მიზნით დასმულია შემდეგი შეკითხვა - "ფიქრობთ თუ არა, რომ ახალგაზრდა და შვილებიან წყვილს, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უნდა ეხმარებოდეს, ძირითადად, საზოგადოება, ოჯახი თუ ორივე ერთად?". პასუხები ამ შეკითხვაზე მერყეობს 1-დან ("ძირითადად, საზოგადოების ამოცანაა") 5-მდე ("ძირითადად, ოჯახის ამოცანაა"). დამატებითი საკონტროლო მაჩვენებლებია მოსახლეობის რაოდენობა საარჩევნო ოლქების მიხედვით და მოსახლეობის აქტივობა არჩევნების დღეს, რისი წყაროებიცაა სტატისტიკის დეპარტამენტი (Geostat, 2012) და ცენტრალური საარჩევნო კომისია (2012).

დამოუკიდებელი ცვლადების ორი სხვადასხვა ფორმიდან გამომდინარე, მოცემულ კვლევაში გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა წრფივი (OLS) და ლოგისტიკური (logit) რეგრესიები. OLS მოდელი გამოიყენება მაშინ, როდესაც დამოკიდებული ცვლადია ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების წილი საარჩევნო ოლქებში. Logit მოდელი გამოიყენება მაშინ, როდესაც დამოკიდებული ცვლადებია ქართული ოცნებისთვის უპირატესობის მინიჭება არჩევნებამდე ჩატარებულ კვლევაში, და ასევე ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვება საარჩევნო ოლქში. კვლევის მაკრო ნაწილში მცირე რაოდენობის დაკვირვებები (და მასთან დაკავშირებული რეგრესიების თავისუფლების ხარისხი) არ იძლევა საშუალებას, ყველა ცვლადი ერთდროულად იქნეს განხილული, თუმცა მოდელელებში დამოუკიდებელი ცვლადების ცალ-ცალკე შეყვანით და მათი შესაბამისი კომბინაციებით შესაძლებელია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება. იქიდან გამომდინარე, რომ, ისტორიულად, ეთნიკური

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ყოველთვის არსებობდა შენიშვნები საარჩევნო პროცესების შესახებ, შედეგების საიმედოობის შესამოწმებლად ანალიზი ჩატარებულია აღნიშნული რეგიონების გათვლებიდან გამორიცხვის პირობებშიც.

შედეგები

არჩევნებამდე ჩატარებული მოსახლეობის პოლიტიკური პრეფერენციების კავშირი მათ ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ცხრილ 1-შია წარმოდგენილი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, შინამეურნეობების ყოველთვიური ხარჯების ზრდა უარყოფით კავშირს ავლენს ქართული ოცნების მხარდაჭერასთან. აღნიშნული კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ყველა სხვა საკონტროლო მაჩვენებლის მოდელში შეყვანის შემთხვევაშიც. ანალიზში ასევე გათვალისწინებულია საშუალო ყოველთვიური ხარჯების კვადრატული ფორმა, რაც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ თუ რა მიმართებაა ამ დამოუკიდებელ ცვლადსა და პოლიტიკურ პრეფერენციებს შორის, როდესაც ყოველთვიური ხარჯები საშუალოზე მაღალ ნიშნულს უახლოვდება. ხარჯების კვადრატული ფორმა ამჟღავნებს დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს დამოკიდებულ ცვლადთან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არჩევნებამდე პერიოდში შინამეურნეობების ხარჯების ზრდა გარკვეული დონის შემდეგ პოზიტიურ გავლენას ახდენდა ქართული ოცნებისთვის ხმის მინიჭების ალბათობაზე.

ცხრილი 1 ასევე ასახავს სხვა მახასიათებლების კავშირს პოლიტიკურ პრეფერენციებთან. სოციო-დემოგრაფიული მაჩვენებლებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეთნიკური წარმომავლობა. მოდელი 5 გვიჩვენებს, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ქართველები 15 პროცენტით მეტი ალბათობით ანიჭებდნენ უპირატესობას ქართულ ოცნებას. უმუშევრების სტატუსის ქონა, თავის მხრივ, 8 პროცენტით ზრდიდა ქართული ოცნებისთვის ხმის მიცემის ალბათობას. სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულება, ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ მოსაზრებები, და ტელევიზიებთან მიმართება უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია პოლიტიკურ პრეფერენციებში. მოდელი 5-ის მიხედვით, ყოველდღიურად რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებების ყურება, ტელეკომპანია მაესტროს ხელმიუწვდომლობა და სახელმწიფო შემწეობის მიღება, შესაბამისად 5, 10, 6 პროცენტით ამცირებდა ქართული ოცნებისადმი უპირატესობის მინიჭებას. თავის მხრივ, ნატოში საქართველოს გაწევრიანების მხარდაჭერა ასევე ნეგატიურად უკავშირდება განხილულ დამოკიდებულ

ცვლადს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თბილისის მოსახლეობა ყველა რეგიონზე უფრო მაღალ უპირატესობას ანიჭებდა ქართულ ოცნებას.

ცხრილი 1

არჩევნებამდე ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაში ქართული ოცნებისთვის პრიორიტეტის მინიჭების კავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესული მოდელებიდან

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4	მოდ 5
მუდმივი	0.21***	0.13*	0.22***	0.68***	0.58***
ეკონომიკური კეთილდღეობა					
საშუალო ყოველთვიური	-0.04***	-0.03*	-0.04**	-0.06***	-0.04**
ხარჯები					
საშუალო ყოველთვიური	0.03**	0.02	0.03*	0.04**	0.03*
ხარჯები ²					
სოციო-დემოგრაფიული					
მაჩვენებლები					
სქესი (მამრობითი)	0.01	0.01	0.01	0.01	0.01
ასაკი	-0.00	-0.00	-0.00	-0.00	-0.00
ასაკი ²	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
დაოჯახებული	-0.00	-0.00	-0.01	-0.00	-0.01
ქართველი	0.08***	0.08***	0.09***	0.14***	0.15***
განათების დონე	0.01*	0.02***	0.01*	0.01	0.01
დასაქმებულობის მაჩვენებლები					
საჯარო სექტორში	—	-0.05*	—	—	-0.02
დასაქმებული					
თვითდასაქმებული	—	0.04	—	—	0.04
უმუშევარი	—	0.06**	—	—	0.08**
არააქტიური	—	0.02	—	—	0.05
მთავრობის მთავარი შეცდომები					
სიღარიბე	—	—	0.00	—	0.00
უმუშევრობა	—	—	-0.02	—	-0.02
ტერიტორიული მთლიანობა	—	—	-0.01	—	-0.00
2008 წლის ომი	—	—	0.00	—	-0.00
სხვა მახასიათებლები					


	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4	მოდ 5
სახელმწიფო შემწეობის მიმღები	—	—	—	-0.04**	-0.05***
ნატომი გაწევრიანების მხარდაჭერა	—	—	—	-0.10***	-0.10***
რუსთავი 2-ის ხშირი ყურება	—	—	—	-0.10***	-0.10***
მაესტროს ხელმიუწვდომლობა	—	—	—	-0.05**	-0.06**
რეგიონული მაჩვენებლები					
თბილისის აგლომერაცია	-0.03	-0.02	-0.03	0.03	0.04
კახეთი	-0.15***	-0.15***	-0.16***	-0.11***	-0.10**
აღმოსავლეთის მთიანი რაიონები	-0.06	-0.05	-0.06	-0.05	-0.05
ქვემო ქართლი	-0.18***	-0.16***	-0.19***	-0.16***	-0.15***
ჯავახეთი	-0.19***	-0.18***	-0.21***	-0.21***	-0.19***
შიდა ქართლი	-0.10***	-0.09**	-0.09**	-0.06	-0.05
სამცხე	-0.19***	-0.18***	-0.20***	-0.14***	-0.13***
დასავლეთის მთიანი რაიონები	-0.15***	-0.13***	-0.17***	-0.11***	-0.10**
იმერეთი	-0.02	-0.00	-0.02	0.03	0.05
გურია	0.02	0.03	0.02	0.08*	0.09*
აჭარა	-0.08*	-0.07*	-0.09**	-0.08**	-0.09*
სამეგრელო	-0.22***	-0.22***	-0.23***	-0.15***	-0.14***
სტატისტიკა					
დაკვირვებები	3,005	2,997	2,742	2,575	2,368
კორექტირებული R ²	0.06	0.06	0.06	0.12	0.12

შენიშვნები: ***, **, და * აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. საშუალო ყოველთვიური ხარჯების ცვლადი სტანდარტიზებულია. დასაქმებულობის მაჩვენებლების მიხედვით რეფერირებადი კატეგორიაა დასაქმების ყველა სხვა სტატუსი. რეგიონების მიხედვით რეფერირებადი კატეგორია თბილისი. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მონაცემების საფუძველზე (2012)

ამჯერად უკვე არჩევნების შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების დეპრივაციის საშუალო დონესა და ოპოზიციის მიერ მიღებულ ხმებს შორის ორცვლადიანი კავშირი გამოსახულია დიაგრამა 2-ზე. კორიზონტალური ღერძი ასახავს მატერიალურ

დეპრივაციას საარჩევნო ოლქებს შორის, რაც 3.29-დან (გარდაბანის ოლქი) 9.79-მდე (თიანეთის ოლქი) მერყეობს. ცხადია, დიაგრამა არ გამოხატავს წრფივ კავშირს განხილულ ორ ცვლადს შორის. თუ რაიმე სახის კავშირი არსებობს მატერიალურ დეპრივაციასა და არჩევნების შედეგებს შორის, მას ინგლისური S-ფორმის სახე გააჩნია. როგორც ვხედავთ, ბევრი ოლქი მდებარეობს დეპრივაციის განაწილების შუაში და მათში აღრიცხული ხმები დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული. მეორე მხრივ, მრავალი ოლქი ხასიათდება როგორც დაბალი, ასევე მაღალი მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებლით და ორივე მათგანი არჩევანის დროს უპირატესობას ანიჭებს ქართულ ოცნებას. უნდა აღინიშნოს, რომ დანახული ტენდენცია შეიძლება გამოწვეული იყოს ანალიზში ზოგიერთი პრობლემატური ოლქისა და მთლიანად რეგიონის ჩართვით. უფრო დამაჯერებელი კავშირის დასადგენად შემდეგი ნაბიჯია მრავალცვლადიანი ანალიზის ჩატარება. ამავე დროს, შესაძლო S-ფორმის ასოციაციის განსაზღვრისთვის, რეგრესიებში ასევე გათვალისწინებულია კვადრატში აყვანილი მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებელი.

დიაგრამა 2. კორელაცია ქართული ოცნების მიერ მიღებულ ხმებსა და მინამეურნეობების მატერიალურ დეპრივაციას შორის საარჩევნო ოლქების მიხედვით



ცხრილ 1-ში მოცემულია უმცირეს კვადრატა წრფივი რეგრესული მოდელების კოეფიციენტები. მოდელ 1-ის მიხედვით მატერიალური დეპრივაცია, როგორც ასეთი, მნიშვნელოვნად არ უკავშირდება დამოკიდებულ ცვლადს, თუმცა სხვა მოდელებში ჩანს,

რომ მოსახლეობის რაოდენობა, ურბანიზაცია, მართლმადიდებლური მოსახლეობის წილი და საგანმანათლებლო დონე მნიშვნელოვნად და პოზიტიურად უკავშირდება ქართული ოცნებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობას. როდესაც ყველა აღნიშნული მაჩვენებელი ერთად განიხილება მოდელ 8-ში, მატერიალური დეპრივაცია და მისი კვადრატში აყვანილი ფორმა იძენს სტატისტიკურ მნიშვნელობას და, შესაბამისად, ნეგატიურ და პოზიტიურ ნიშნებს, რაც დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის U-ფორმის კავშირის შესახებ მეტყველებს. სხვა სიტყვებით, მაღალი და დაბალი მატერიალური დეპრივაციის მქონე რეგიონები უფრო მეტი ალბათობით აძლევდნენ ხმას ოპოზიციურ კოალიციას. რეგიონების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განაპირობებს არჩევნების შედეგებს. სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელოში არსებულმა ოლქებმა, ძირითადად, ნაციონალურ მოძრაობას დაუჭირეს მხარი, რაც ჩანს მოდელებში 9, 10, და 11. მოდელი 10 ასევე მოიცავს ყველა სხვა ცვლადს და გვიჩვენებს, რომ ურბანიზაციისა და მართლმადიდებელი მოსახლეობის გარდა, მატერიალური დეპრივაციაც იწარჩუნებს არჩევნების შედეგებთან სტატისტიკურად მნიშვნელოვან U-ფორმის ასოციაციას. ამასთან, მოდელი 10 ხსნის დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის 54 პროცენტს (კორექტირებული R^2), ხოლო მატერიალური დეპრივაციის მოდელ 11-ში შეყვანა აღნიშნულ მაჩვენებელს 3 პროცენტული ერთეულით ზრდის.

ცხრილი 2. 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების კავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესული მოდელებიდან

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4	მოდ 5	მოდ 6	მოდ 7	მოდ 8	მოდ 9	მოდ 10	მოდ 11
მუდმივი	-0.18	-0.15	-0.18	-0.18	-0.18	-0.18	-0.16	-0.16*	1.10***	0.13	0.15*
სოციალური კეთილდღეობა											
მატერიალური დეპრივაცია	-0.82	—	—	—	—	—	—	-1.21*	—	—	-1.19**
მატერიალური დეპრივაცია ²	0.78	—	—	—	—	—	—	1.09*	—	—	1.04*
დემოგრაფიული მაჩვენებლები											
მოსახლეობის რაოდენობა	—	0.18***	—	—	—	—	—	-0.01	—	-0.03	-0.05
ურბანიზაციის დონე	—	—	0.39***	—	—	—	—	0.35**	—	0.38***	0.36***
მართლმადიდებელი მოსახ.	—	—	—	0.44***	—	—	—	0.26*	—	0.19	0.21*
განათლება და იდეოლოგია											
განათლების საშუალო დონე	—	—	—	—	0.41***	—	—	0.05	—	-0.01	0.03
იდეოლოგია	—	—	—	—	—	-0.01	—	0.15	—	0.16	0.16
არჩევნების მახასიათებლები											
აქტივობის დონე	—	—	—	—	—	—	0.37***	0.30**	—	0.26*	0.20
რეგიონი											
აჭარა	—	—	—	—	—	—	—	—	-1.15***	—	—
გურია	—	—	—	—	—	—	—	—	-0.62***	—	—
იმერეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-0.77**	—	—
კახეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-1.21***	—	—

ქვემო ქართლი	—	—	—	—	—	—	—	—	-2.03***	-0.44	-0.73**
მცხეთა-მთიანეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-0.19	—	—
რაჭა-ლეჩხუმი	—	—	—	—	—	—	—	—	-1.32***	—	—
სამეგრელო-ზემო სვანეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-1.72***	-0.82***	-0.81***
სამცხე-ჯავახეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-2.47***	-1.34***	-1.32***
შიდა ქართლი	—	—	—	—	—	—	—	—	-0.82***	—	—
დაკვირვებები	63	64	63	63	63	63	64	63	64	63	63
კორექტირებული R ²	-0.02	0.02	0.15	0.19	0.17	-0.02	0.14	0.36	0.35	0.54	0.57

შენიშვნები: ***, **, და * აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. რეგიონული მაჩვენებლების გარდა ყველა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი სტანდარტიზებულია. მოდელ 9-ში რეფერირებადი კატეგორია არის თბილისი, ხოლო მოდელ 10-სა და 11-ში – ქვემო ქართლის, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთის გარდა ყველა სხვა რეგიონი. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევისა (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემთა საფუძველზე.

ცხრილი 3. 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვების კავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები ლოგისტიკური რეგრესული მოდელებიდან

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4	მოდ 5	მოდ 6	მოდ 7	მოდ 8	მოდ 9	მოდ 10	მოდ 11
მუდმივი	0.04	0.35	0.07	-0.00	0.03	0.03	0.08	0.45	14.28***	1.22*	1.16*
სოციალური კეთილდღეობა											
მატერიალური დეპრივაცია	-2.33	—	—	—	—	—	—	-4.00	—	—	-6.61**
მატერიალური დეპრივაცია ²	2.03	—	—	—	—	—	—	3.53	—	—	5.78**
დემოგრაფიული მაჩვენებლები											
მოსახლეობის რაოდენობა	—	1.31	—	—	—	—	—	1.70	—	2.18	1.29
ურბანიზაციის დონე	—	—	0.76***	—	—	—	—	0.74*	—	0.98**	0.93*
მართლმადიდებელი მოსახ.	—	—	—	0.71**	—	—	—	0.77*	—	0.63	0.73*
განათლება და იდეოლოგია											
განათლების საშუალო დონე	—	—	—	—	0.62**	—	—	0.04	—	-0.59	-0.01
იდეოლოგია	—	—	—	—	—	0.11	—	0.41	—	0.48	0.39
არჩევნების მახასიათებლები											
აქტივობის დონე	—	—	—	—	—	—	0.48*	0.67	—	0.45	0.21
რეგიონი											
აჭარა	—	—	—	—	—	—	—	—	14.28***	—	—
იმერეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-3.59***	—	—

კახეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-4.28***	—	—
ქვემო ქართლი	—	—	—	—	—	—	—	—	-6.08***	-2.84**	-4.62**
რაჭა-ლეჩხუმი	—	—	—	—	—	—	—	—	-5.38***	—	—
სამეგრელო-ზემო სვანეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-4.98***	-1.49	-1.51
სამცხე-ჯავახეთი	—	—	—	—	—	—	—	—	-5.89***	-2.30**	-2.7***
დაკვირვებები	63	64	63	63	63	63	64	63	53	63	63
ფსევდო R ²	0.03	0.03	0.08	0.07	0.06	0.00	0.04	0.25	0.14	0.29	0.38

შენიშვნები: ***, **, და * აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. ყველა დამოუკიდებელი ცვლადი, რეგიონული მაჩვენებლების გარდა, სტანდარტიზებულია. რეფერირებადი კატეგორია არის თბილისი მოდელ 9-ში, რომელიც ასევე გამოიცხავს გურიას, მცხეთა-მთიანეთს და შიდა ქართლს (ვინაიდან მათში დამოკიდებული ცვლადი მთლიანად იხსნება) მოდელ 10-სა და 11-ში ყველა სხვა რეგიონი გარდა ქვემო ქართლის, სამეგრელოს და სამცხე-ჯავახეთის არის რეფერირებადი კატეგორია. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემების საფუძველზე.

იგივე დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადებია გამოყენებული ცხრილ 2-ში, თუმცა ამ შემთხვევაში დამოკიდებული ცვლადი მაჟორიტარულ არჩევნებში ქართული ოცნების კანდიდატის გამარჯვებაა. აღსანიშნავია, რომ ოპოზიციურ კანდიდატებს გამარჯვების მაღალი შანსები გააჩნდათ იმავე რეგიონებში, სადაც ოპოზიციურმა კოალიციამ მოიპოვა გამარჯვება პროპორციული სისტემის მიხედვით. მოდელ 11-ის მიხედვით, მატერიალური დეპრივაცია და მისი კვადრატული ფუნქცია არჩევნების შედეგების ახსნილ ვარიაციას 9 პროცენტული ერთეულით (ფსევდო- R^2 0.38) ზრდის. ამასთან, მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებელი ინარჩუნებს სტატისტიკურ მნიშვნელობას. იმისთვის, რომ შევამოწმოთ ჩვენი შედეგების საიმედოობა, დანართში მოცემულ ცხრილ 1ა-ში ანალიზიდან გამორიცხულია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებული პრობლემური ოლქები. მსგავსად ძირითადი ანალიზისა, მატერიალური დეპრივაცია კვლავ ინარჩუნებს ინგლისური U ფორმის სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების რაოდენობასთან. უფრო მეტიც, აღნიშნულ შემთხვევაში რეგრესიის კოეფიციენტების ზომა უფრო მაღალია.

დასკვნები

წლების განმავლობაში საქართველოში არსებულმა ნაწილობრივ თავისუფალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა (Freedom House, 2012) არ შექმნა გამჭვირვალე დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა პოლიტიკური პრეფერენციებისა და საარჩევნო შედეგების კვლევების წარმოებას ქვეყანაში. უფრო სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ახალ შესაძლებლობებს ქმნის არჩევნებთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური კვლევების ჩასატარებლად. ვინაიდან ჩვენი საკვლევი ინტერესი უკავშირდება სოციალურ კეთილდღეობას, აღნიშნულ სტატიაში ყურადღება ძირითადად



გამახვილებული იყო ეკონომიკური კეთილდღეობის კავშირზე საარჩევნო პერეფერენციებსა და საარჩევნო ოლქებში არჩევნების შედეგებთან.

ჩვენი ანალიზი აჩვენებს, რომ დაბალი და მაღალი საშუალო ყოველთვიური ხარჯები დადებითად უკავშირდებოდა ქართული ოცნებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას არჩევნებამდე პერიოდში. რაც შეეხება უშუალოდ არჩევნებს, კეთილდღეობის დონით უფრო მაღალი და დაბალი მაჩვენებლების მქონე საარჩევნო ოლქებში ხმები ძირითადად ქართული ოცნების სასარგებლოდ გადანაწილდა, მაშინ, როდესაც საშუალო დეპრივაციის მქონე ოლქები ნაციონალურ მოძრაობას ანიჭებდნენ უპირატესობას. თუმცა, ის ფაქტი, რომ დეპრივაციის უფრო მაღალი დონე რაღაც ზღვრამდე ნეგატიურად უკავშირდება ოპოზიციურ ხმებს, არ ნიშნავს, რომ არსებობს პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირი ამ ორ ცვლადს შორის.

ის ოლქები, სადაც მატერიალური დეპრივაცია უფრო მაღალია (მაგრამ არა ყველაზე მაღალი) ამავდროულად, სავარაუდოდ, წარმოადგენენ ოლქებს, სადაც თვისუფალ მედიასთან ხელმისაწვდომობა უფრო შეზღუდულია, ხოლო დამოკიდებულება სახელმწიფოზე (თუნდაც მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღების თვალსაზრისით) – უფრო მნიშვნელოვანი. აღნიშნული ორივე მახასიათებელი, როგორც კვლევის პირველი ნაწილი გვიჩვენებს, განაპირობებს ამომრჩეველთა ნაკლებ ინფორმირებულობასა და კრიტიკულობას არსებული ხელისუფლების მიმართ. მეორე მხრივ, მაშინ, როდესაც დეპრივაცია აღწევს გარკვეულ ზღვარს, ამომრჩეველთა იმედაცრუება, სავარაუდოდ, არჩევნების შედეგებზე მოქმედი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ხდება. საარჩევნო შედეგებისა და მატერიალური დეპრივაციის უფრო დამაჯერებელი მიზეზშედეგობრივი კავშირის გამოსავლენად აუცილებელია მსგავსი სახის კვლევების გაგრძელება.

ბიბლიოგრაფია

Central Election Commission 2012. *Elections 2012: Final results*. Tbilisi: Election Administration of Georgia.

CSS 2012. *Survey on political preferences*. Tbilisi: Center for Social Sciences.

Fairbanks Jr, C. H. & Gugushvili, A. 2013. A New Chance for Georgian Democracy. *Journal of Democracy*, 24, 116-127.

Freedom House 2012. *Nations in Transit 2012: Democratization from Central Europe to Eurasia*, Rowman & Littlefield Publishers.

GeoStat 2012. Statistical information. Tbilisi: National Statistics Office of Georgia.

Mitchell, L. A. 2013. What's next for Georgia? The End of the Rose Revolution. *World Affairs*, January/February, 75-82.

UNECE 2012. Generations and Gender Survey: 1st Wave. Geneva: United Nations Economic Commission for Europe.

დანართი

ცხრილი 1ა: 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების კავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესიული მოდელებიდან, ყველა რეგიონი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4
მუდმივი	0.01	1.10***	0.10	0.19*
სოციალური კეთილდღეობა				
მატერიალური დეპრივაცია	-1.39*	—	—	-1.23*
მატერიალური დეპრივაცია ²	1.25*	—	—	1.09
დემოგრაფიული მაჩვენებლები				
მოსახლეობის ზომა	-0.05	—	-0.06	-0.08
ურბანიზაციის დონე	0.39***	—	0.34***	0.32***
მართლმადიდებელი მოსახ.	0.02	—	0.09	0.09
განათლება და იდეოლოგია				
განათლების საშუალო დონე	0.07	—	0.17	0.21*
იდეოლოგია	0.20*	—	0.22*	0.20*
არჩევნების მახასიათებლები				
აქტივობის დონე	0.38**	—	0.31*	0.27
რეგიონი				
აჭარა	—	-1.15***	—	—

გურია	—	-0.62***	—	—
იმერეთი	—	-0.77**	—	—
კახეთი	—	-1.21***	—	—
მცხეთა-მთიანეთი	—	-0.19	—	—
რაჭა-ლეჩხუმი	—	-1.32***	—	—
სამეგრელო-ზემო სვანეთი	—	-1.72***	-0.84***	-0.81***
შიდა ქართლი	—	-0.82***	—	—
დაკვირვებები	50	51	50	50
კორექტირებული R ²	0.27	0.21	0.39	0.41

*შენიშვნები: ***, **, და * აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. რეგიონული მაჩვენებლების გარდა ყველა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი სტანდარტიზირებულია. მოდელ 2-ში რეფერირებადი კატეგორია არის თბილისი, ხოლო მოდელ 3-სა და 4-ში ყველა რეგიონი სამეგრელოს გარდა. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემთა საფუძველზე.*

ალექსი გუგუშვილი - სოციალური მეცნიერებების ცენტრის ასოცირებული მკვლევარი, ასევე იყო ფლორენციის ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტის მკვლევარი და იყო მიწვეული მკვლევარი ჰარვარდის ჯონ ფ. კენედის მმართველობის სკოლაში. მისი მრავალი პუბლიკაციის ძირითადი ფოკუსია სოციალური პოლიტიკა და შიდა-პოლიტიკური პროცესები.